ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გიორგი ტურაზაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ნათია კორკოტაძე – კოლეგიის წევრი

გია ტაბლიაშვილი -კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ტ. ტ.

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი: ვ. ტ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 30.07.2015

საჩივრის რეგისტრაციის №062/15

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. ნ-ს მიმართ /სიითი №----/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. ნ-სათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2015 წლის 30 ივლისს ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას" საჩივრით მომართა ტ. ტ-მ და მოითხოვა ადვოკატ მ. ნ–სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად წარმოშობილ დავაში საადვოკატო მომსახურების მისაღებად მან მიმართა ადვოკატ მ. ნ–ს და მასთან პირველი მინდობილობა გააფორმა 2009 წლის 04 ნოემბერს, 2 წლის ვადით.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, მის საქმესთან დაკავშირებით წლების განმავლობაში მიმდინარეობდა დავა სასამართლოში. რადგან მის საქმეზე საქართველოში დასრულებული იყო წარმოება, ადვოკატმა ურჩია მიემართა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის სტრასბურგში.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართა 2010 წლის იანვარში წინასწარი განცხადებით, რადგან იწურებოდა საჩივრის ჩაბარების ექვს თვიანი ვადა, ამ განცხადების საფუძველზე ადვოკატმა მიიღო საქმის ნომერი და ამის შემდეგ მისთვის უცნობია რას წერდა ადვოკატი სასამართლოს ან საერთოდ წერდა თუ არა. ადვოკატს სასამართლოს არანაირი პასუხი მისთვის არ უცნობებია და განუმარტა, რომ ევროპულ სასამართლოში გაგზავნა 3 საჩივარი და იქედან პასუხად მიიღო წინადადება გაეერთიანებინათ ორი საჩივარი ერთ საქმედ.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2013 წლის ივლისის თვეში ადვოკატმა ის დაიბარა საქალაქო სასამართლოში და კონვერტის გარეშე გადასცა ვითომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსგან მიღებული რაღაც დოკუმენტი იმის შესახებ, რომ მისი განცხადება განსახილველად არ მიიღეს. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს იმ ცნობის გამოსაგზავნად, რომ მისი საჩივარი განსახილველად არ მიიღეს დასჭირდა დრო 2010 წლის 03 თებერვლიდან 2013 წლის ივნისამდე, რაც იმის ეჭვს იწვევს, რომ სასამართლოსგან ვითომ მიღებული დოკუმენტი ადვოკატმა თავად შეადგინა.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ამ ფაქტის შემდეგ მასსა და ადვოკატს შორის მოხდა უთანხმოება, მას მესამე პირმა უთხრა, რომ ადვოკატს განცხადება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაგზავნილი არ ჰქონდა. ამასთან, მან სოციალური ქსელებისა და რადიოს საშუალებით შეიტყო, რომ მ. ნ–ს ევროპულ სასამართლოში წარმომადგენლობის უფლება ჩამორთმეული ჰქონდა. შესაბამისად, მან ადვოკატს მოსთხოვა გადაეცა მისთვის ევროპულ სასამართლოსთან დაკავშირებული ყველა საბუთი. დოკუმენტების დაბრუნების მოთხოვნიდან ერთი თვის შემდეგ მას დაუკავშირდა ადვოკატი და აცნობა, რომ საქმის მასალები ინახებოდა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს თანამშრომელთან და მან საქმის მასალები ჩაიბარა სწორედ ამ პირისგან.

1.7 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა აწარმოა მისი რამოდენიმე საქმე საქართველოს სასამართლოშიც. კერძოდ, მას სასამართლო დავა ჰქონდა კლინიკა „——“–ის ექიმების წინააღმდეგ. მის ძირითად მოთხოვნას წარმოადგენდა სასამართლოს გზით სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების მიღწევა, რადგან მის საქმეში იყო ექსპერტის დასკვნა, რომელიც ჩატარდა ავადმყოფობის ისტორიის გამოკვლევის საფუძველზე ისე, რომ სამედიცინო ექსპერტს ის არ უნახავს. ადვოკატი მის მოთხოვნებს არ ითვალისწინებდა, ექსპერტიზის ჩატარება არ მოითხოვა და სასამართლომ ეს საკითხი არ განიხილა. ასევე ადვოკატს სასამართლოში მტკიცებულების სახით უნდა წარედგინა ჯეოსელის სიმ.ბარათი და არ წარადგინა.

1.8 საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა 2015 წლის 27 აგვისტოს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე დამატებით განაცხადა, რომ მისი მარწმუნებლის მოწინააღმდეგე მხარემ ინტერვიუ განათავსა გაზეთში მის წინააღმდეგ და ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლოში მიმდინარეობდა საქმის წარმოება მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. ამ დავაში ადვოკატმა ის არ დაიცვა, რაც გამოიხატა იმ გარემოებით, რომ ადვოკატს სასამართლოს სხდომაზე ზეპირად არ წარუდგენია პოზიცია მის დასაცავად, ხოლო წერილობით წარადგინა თუ არა, მისთვის უცნობია.

1.9 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განცხადებით, ადვოკატმა არ იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე, რომ მისი მარწმუნებელი - დაზარალებული მხარეც დასწრებოდა სისხლის სამართლის საქმის განხილვას.

1.10 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განცხადებით, მათ მოიგეს მხოლოდ ის სასამართლო დავა, რომელზეც ადვოკატმა დაარწმუნა, რომ აუცილებლად ეწარმოებინათ. ამ საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილებით მიიღეს თანხა 20.000 (ოცი ათასი) ლარის ოდენობით, ამ თანხიდან ადვოკატმა ჰონორარის სახით აიღო 10.000 (ათი ათასი) ლარი, მათ კი დარჩენილი თანხას აძლევდა ნაწილ-ნაწილ, 400-500 ლარის ოდენობით. რადგან მათ მხოლოდ ეს დავა მოიგეს, გაუჩნდათ ეჭვი, რომ ადვოკატი მოლაპარაკებაში შევიდა მათ მოწინააღმდეგე მხარესთან.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2015 წლის 05 აგვისტოს ს.ს.ი.პ „ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში“ ტ. ტ–ს საჩივართან დაკავშირებით ადვოკატმა მ. ნ–მ წარმოადგინა წერილობითი თვალსაზრისი, რომლის თანახმად მისი და ტ. ტ–ს წარმომადგენლის - ვ. ტ–ს შეთანხმების საგანი იყო, რომ მას გაემზადებინა, ეთარგმნა და გაეგზავნა საჩივარი ევროპულ სასამართლოში, როგორც ტ. ტ–ს წარმომადგენელს, კლიენტის იმ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, რომელზეც საქართველოში პროცედურები დასრულებული იყო.

2.2 ადვოკატის განმარტებით, ის და კლიენტი შეთანხმდნენ ერთი საქმის წარმოებაზე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, მაგრამ მათ შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობიდან გამომდინარე, მან ტ. ტ–ს უსასყიდლოდ გაუწია წარმომადგენლობა ხუთ სამოქალაქო საქმეზე საქართველოში და დამატებით ერთი საჩივარი შეუდგინა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გასაგზავნად.

2.3 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორის საქმეზე ორი საჩივრით მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. სასამართლოდან მას მიწერეს რამოდენიმე საკომუნიკაციო წერილი და ბოლოს წერილი, რომლითაც საჩივრები სასამართლოს მიერ დაუშვებლად იქნა ცნობილი, რაშიც მას ბრალი არ მიუძღვის, რადგან მან კლიენტს საფუძვლიანად განუმარტა ის დადებით-უარყოფითი შედეგები, რაც შეიძლებოდა ევროპულ სასამართლოში საქმის წარმოებას მოყოლოდა და შემდეგ, მისი კლიენტის დაჟინებული მოთხოვნისა და მის მიერ მოწოდებული საქმის მასალების საფუძველზე, გააგზავნა საჩივარი ევროპულ სასამართლოში. ამ ფაქტის დასადასტურებლად მან მხარეს ქვითარიც კი მიაწოდა, ასევე აიღო ცნობა კომპანია ,,დი ეჩ ელ“ იდან იმის შესახებ, საჩივარს ხელი ვინ მოაწერა, როდის გაიგზავნა და როდის ჩაბარდა ის ევროპულ სასამართლოს.

2.4 ადვოკატის განცხადებით, მან გაითვალისწინა რა საჩივრის ავტორის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა, თავისი რესურსების ხარჯზე ის წარმოადგენდა მის ინტერესს ყველგან საჭიროებისამებრ. კომპანია ,,——“–ს წინააღმდეგ წარდგენილ საჩივარზე წარმომადგენლად გამოდიოდა სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში. ტ. ტ–მ საჩივარი შეიტანა ავტოავარიისას საჭესთან მჯდომი პიროვნების - ს. ც–ს წინააღმდეგ და თავის მხრივ ს. ც–მაც უჩივლა მას მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით გაზეთ ,,——“–ში გამოქვეყნებული პუბლიკაციის გამო. ორივე საქმის წარმოება ცალ-ცალკე წარიმართა და მას სამივე ინსტანციის სასამართლოში მოუწია საჩივრის ავტორის ინტერესების დაცვა, რამაც დიდი დრო და რესურსი წაიღო.

2.5 ადვოკატის განმარტებით, ავტოავარიის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით მან მოამზადა სარჩელი, რომელიც არ დაკმაყოფილდა პირველ ინსტანციაში და გაასაჩივრა სააპელაციო წესით, სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მათი სარჩელი და მიიღო პრეცედენტული გადაწყვეტილება, რაც უფრო მეტად გაამყარა უზენაესი სასამართლოს განჩინებამ.

2.6 ადვოკატის განმარტებით, კლინიკა ,,———“–ს ექიმების საქმესთან დაკავშირებით საჩივრის ავტორის წარმომადგენლის მითითება იმის თაობაზე, რომ ადვოკატმა პროცესზე შუამდგომლობა არ დააყენა ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე უსაფუძვლოა, რადგან პროცესს თავადაც ესწრებოდა და შუამდგომლობის დაყენება თავადაც შეეძლო, თუმცა საქმეში არსებობდა უკვე ჩატარებული სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტის მხრიდან და დადგენილი იყო, რომ ამპუტაცია აუცილებელი იყო.

2.7 ადვოკატის განცხადებით, მას ტ. ტ–სთან ჰქონდა მუდმივი კონტაქტი ტელეფონით, ინტერნეტით, პირადად და მუდმივ რეჟიმში აწვდიდა მის საქმესთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

2.8 ადვოკატის განმარტებით, მან საჩივრის ავტორს გადასცა თავის მიერ შედგენილი და ევროსასამართლოსგან მიღებული ყველა დოკუმენტი, მაგრამ დოკუმენტების მიღება-ჩაბარების აქტი არ შეუდგენია.

2.9 ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორის წარმომადგენლობისას მას ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში წარმომადგენლობითი უფლებამოსილება აკრძალული არ ჰქონია.

2.10 ადვოკატის განცხადებით, მისთვის შეურაცმყოფელია და საფუძველს მოკლებულია საჩივრის ავტორის განცხადება, რომ ის გარიგებაში შევიდა პროცესუალურ მოწინააღმდეგე მხარესთან და მიიღო ჰონორარი, მაშინ როდესაც მან პროცესი მოიგო თავისი მარწმუნებლის სასარგებლოდ.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი მ. ნ. არის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” წევრი /სიითი N ——/, სპეციალიზაცია –,,_” სამართალი. ადვოკატის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“

წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.“

3.2 ტ. ტ–მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2015 წლის 30 ივლისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2009 - 2013 წლებში. ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. ნ–ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ მოახდინა მხარეთა (მომჩივანი და ადვოკატი) წერილობითი და ზეპირი სახით პოზიციების შესწავლა და ანალიზი, რომლის მიხედვითაც მომჩივანის პრეტენზია ადვოკატის მიერ განხორციელებულ იურიდიული (საადვოკატო) მოქმედებების სიმცდარესა და უნდობლობაში მდგომარეობს.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ მ. ნ–ს მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“.

5.2.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“.

5.2.3 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლი: ,,კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა“.

5.3 წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ადვოკატის ვალდებულება - დაიცვას კლიენტის ინტერესები, წარმოიშობა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, შეიძლება დაიდოს როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ფორმით. ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო მომსახურების გაწევისას კლიენტის ინტერესები წარმოადგინოს კანონმდებლობით

გათვალისწინებული ყველა საშუალების გამოყენებით, კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად.

5.4 კვალიფიციურ მომსახურებასთან დაკავშირებით ეთიკის კომისიამ 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე N074/10 განმარტა, რომ ,,ადვოკატმა სარჩელის შეტანიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა უზრუნველყოს საქმის კვალიფიციურად წარმართვა და იმ საპროცესო მოქმედებების კეთილსინდისიერად შესრულება, რაც კანონმდებლობითაა გათვალისწინებული.“

5.5 საჩივრის ავტორსა და ადვოკატ მ. ნ–ს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დაიწყო 2009 წლის ნოემბრის თვეში. ნიშანდობლივია მომჩივანსა და ადვოკატს შორის შეთანხმების საგანი და მისი ფარგლები, რომლის ირგვლივაც საპროცესო კოლეგიაში მიღებული ინფორმაციებითა და დოკუმენტებით ჩანს, რომ ადვოკატის მიერ ზოგადად განხორციელებულია იურიდიული (საადვოკატო) მოქმედებები, რომელიც კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ იყო მიმართული. შეთანხმების საგნის ფარგლებში, ადვოკატის მიერ გაწეულია იურიდიული დახმარება როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სასამართლოში, რაც დასტურდება მხარეთა მიერ წარმოდგენილი ფაქტებითა და შემოტანილი დოკუმენტებით (ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 08 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე N——; ქ.თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 23 დეკემბრის N—— განჩინება).

5.6 ადგილობრივ ანუ საქართველოს იურისდიქციაში ადვოკატმა კლიენტის სასარგებლოდ გაწია იურიდიული მომსახურება და აპელაციისა და კასაციის ეტაპზე სასამართლო დავებში კლიენტის ინტერესები დაკმაყოფილდა.

5.7 საერთაშორისო სასამართლოში, კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ადვოკატმა წამოიწყო წარმოება, რომლის დასტური სასამართლოდან მიღებული ინფორმაციაა (ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს განმწესრიგებლის 2010 წლის 13 იანვრის; 2010 წლის 03 მარტის; 2010 წლის 28 მაისის; 2011 წლის 08 ივლისისა და 2013 წლის 27 ივნისის წერილები) გამოსახული ლოგოთი და ტიტულიანი ატრიბუტებით (მისამართი, კოდი და საქმისათვის მინიჭებული ნომერი). აღნიშნული წარმოების საკითხი (საგანი) ევროპული სასამართლოს მიერ არ იქნა დაშვებული, რაც ბუნებრივია კლიენტისა და მისი წარმომადგენლის უარყოფით ემოციას გამოიწვევდა ზოგადად. ამ შემთხვევაში ცენტრალური ადგილი უკავია ობიექტური შეფასების მიგნებას. საადვოკატო საქმიანობა და სამოსამართლეო საქმიანობა არსებითად განსხვავდება. საადვოკატო საქმიანობის შედეგი შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი და ეს შედეგი სამოსამართლეო უფლებამოსილების განხორციელებისას დგება მოსამართლის/მოსამართლეების მიერ. პროფესია ადვოკატი არის კლიენტის კანონიერი ინტერესების ერთგული დამხმარე იურიდიული ფორმით და ყველა შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, კლიენტის ინტერესების პერსპექტივას გააჩნია თუ არა სუსტი მხარეები. ასეთ დროსაც კი კლიენტი ადვოკატთან ურთიერთობისას განეწყობა იმედით და ამას ემატება მისი ნების გამოვლენა მოიწვიოს ადვოკატი და მოითხოვოს თავისი უფლებების დაცვა მიუხედავად წინ არსებული რისკებისა, რის შესახებაც ადვოკატი აძლევს განმარტებებს. ამ პროცესში კლიენტი ზოგჯერ არ არის ორიენტირებული იმ მოსალოდნელ რისკებზე, რომლის

შესახებაც ესაუბრა მას ადვოკატი და მას შემდეგ, რაც დადგება არასასარგებლო შედეგი, თავს იჩენს უარყოფითი მხარეების მოძიების მომენტი. ამ დროს შესაძლებელია, რომ კლიენტმა მომართოს ეთიკის კომისიას და სასამართლოში მისთვის უარყოფითი შედეგის დადგომაში ბრალი დასდოს ადვოკატს.

5.8 საპროცესო კოლეგია ასევე განმარტავს ადვოკატის პროფესიული დამოუკიდებლობის პრინციპსა და ყურადღებას მიაპყრობს კვალიფიციურობის კომპონენტს. ადვოკატის პროფესიული დამოუკიდებლობის არსი, მისი საქმიანობისას, არა მხოლოდ გავლენებისაგან თავის დაღწევაში მდგომარეობს, არამედ ადვოკატის საქმიანობის სპეციფიკურობაში, რაც მოქმედებათა იურიდიულ ბუნებას/სახეს გულისხმობს, რის გამოც კლიენტი მიმართავს ადვოკატს. შესაბამისად ადვოკატი განსაზღვრავს პროფესიული საქმიანობისას სტრატეგიას, იურიდიულ მოქმედებათა სახეებს, რჩევის ტენდენციასა და მტკიცებულებათა შერჩევას, მათი რელევანტურობის კუთხით კლიენტის ინტერესებისათვის. კლიენტს, ჩვენს შემთხვევაში სრული უფლება აქვს გამოხატოს ეჭვი, პრეტენზია ადვოკატის მოქმედებათა ტენდენციაზე, მტკიცებულებათა შერჩევის სისწორეზე, თუმცა ადვოკატის როლი სწორედ მის კომპეტენტურობაშია და როგორც წესი იგულისხმება, რომ ადვოკატი - როგორც სპეციალისტი, შეარჩევს კლიენტის ინტერესებისათვის მომგებიან იურიდიულ მხარეს.

5.9 საპროცესო კოლეგია ასევე შეეხება საადვოკატო საქმიანობის კანონიერებასაც, რაც რიგ შემთხვევებში კლიენტის ინტერესს არ წარმოადგენს. სასამართლოში და მის გარეთ ადვოკატი იყენებს პროცესუალურ ნორმებს, რომლებიც წარმოების ზოგიერთ ეტაპზე არ აძლევს მხარეს (მოსარჩელეს, მოპასუხეს, მომჩივანს ან დაზარალებულს) შესაძლებლობას, საკუთარი პოზიცია ყოველთვის დააფიქსიროს იმგვარად, როგორც ეს კლიენტს სურს. საამისოდაც არსებობს ადვოკატი, რომ მან კლიენტის ინტერესი კანონის ჩარჩოებში მოაქციოს და იმოქმედოს პროცედურული სამართლის ნორმებით.

5.10 საპროცესო კოლეგია გაეცნო მომჩივანის მიერ ნამდვილობაში საეჭვოდ მიჩნეული ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოდან მიღებულ დოკუმენტაციას. საპროცესო კოლეგია არ ახდენს გრაფიკულ ექსპერტიზას, თუმცა კოლეგიისა და ზოგადად ეთიკის კომისიის წევრებს პრაქტიკოსი ადვოკატები წარმოადგენენ თავიანთი კომპეტენციებით, მათ შორის საერთაშორისო წარმოებაშიც. ადვოკატის მიერ მომჩივანისათვის გადაცემული დოკუმენტი ევროპული სასამართლოდან არაფრით განსხვავდება ევროპული სასამართლოს შეტყობინებებისგან. საპროცესო კოლეგიას არ შეაქვს ეჭვი ამ დოკუმენტების ავთენტურობაში.

5.11 ადვოკატის მიერ განხორციელებული მოქმედებები/უმოქმედობები დაკავშირებულია საადვოკატო საქმიანობის იმ ფუნდამენტურ პრინციპთან, რომელსაც ნდობა ეწოდება. აღნიშნული დაკავშირებულია პროფესიასთან ანუ ყველა ადვოკატისადმი ნდობასთან და არა მხოლოდ ადვოკატ მ. ნ–ს პროფესიულ ავტორიტეტთან. რაც შეეხება მომჩივანის მიერ ადვოკატისადმი გამოხატულ უნდობლობას მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლო ქცევაში და მოქმედებაში, ფაქტობრივად არ დასტურდება და მხოლოდ თეორიული ან სავარაუდოდ მიჩნეული მსჯელობა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ადვოკატს ბრალი დაედოს პროფესიულ არაეთიკურ საქციელში.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე, 33-ე მუხლებით, მე–5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–3 მუხლითა და მე-8 მუხლის მე-5 ნაწილით. ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით, მე-19 მუხლით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის მეორე პუნქტით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №062/15 ადვოკატ მ. ნ–ს მიმართ /სიითი №——/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გიორგი ტურაზაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ნათია კორკოტაძე/

კოლეგიის წევრი: /გია ტაბლიაშვილი/